



ქუთაისი 4600, ტ. ტაბიძის ქ. 29, საქართველო
ტელ/ფაქსი: (+995331) 5 15 51
ელ-ფოსტა: ldageorgia@aldaintranet.org
www.ldageorgia.ge

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტომ დაიწყო 2 პროექტის განხორციელება, რომელთა სახელწოდებებია: „ინოვაციები ქალთა უფლებების დაცვისათვის“ და „ადგილობრივი თვითმმართველობა ხალხის სამსახურში / საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები“.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო 2006 წლის 8 სექტემბერს დაფუძნდა ქ. ქუთაისში და იგი არის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოთა ასოციაციის (ადსა) პირველი სააგენტო ქაჯასიაში. სააგენტოს ჩამოყალიბებით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი დემოკრატიის, ადამიანთა და უმცირესობათა უფლებების დაცვის მხარდაჭერისთვის. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოთა ასოციაცია ბოლო 14 წლის განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობს ბალქანეთში. ფართოდ აღიარებულია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციისა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სტაბილიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესებში.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო - საქართველოს მიზანია, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციასთან, ევროპის საბჭოსა და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით, გააძლიეროს ადგილობრივად დემოკრატია და აამაღლოს სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, კერძოდ, იმერეთის რეგიონში.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ინიცირებს გაუნევს, განავითარებს, მონაწილეობას მიიღებს და ხელს შეუწყობს შემდეგი სახის პროექტებს: ადგილობრივი დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ინსტიტუტების განვითარებას, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების მხარდაჭერას, გამართული მმართველობითი სისტემის ხელშეწყობას, უცხოეთში, საზღვრებს გარეთ თანამშრომლობას, ეთნიკურ ჯგუფებს შორის დიალოგს, კულტურულ-გაცვლით და საგანმანათლებლო-გაცვლით საქმიანობებს, ადგილობრივი ეკონომიკური დონის და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საუბარია ღია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე და ახალი იდეებისა და ინოვაციების გენერაციაზე, აუცილებელია მოხდეს განათლებისა და ტრენინგის მდგარდი გარემოს ჩამოყალიბება, რაც გამოიხატება განათლებისა და ინფორმირების კუთხით წარმართული საქმიანობებით.

მოქალაქეების უფლებების დაცვა-განხორციელება იმ ძირითად კრიტერიუმად გვევლინება, რომლის მიხედვითაც საზოგადოების დემოკრატიული განვითარების დონე ფასდება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უფლებებისა და ვალდებულებების უნივერსალური გაგება, რაც გამოყენებული იქნებოდა ერთდროულად ყველა ქვეყნის მიმართ არ არსებობს. ყველა ქვეყანამ თვითონ უნდა გამოიმუშავოს მიდგომა, რომელიც საუკეთესოა მისი ისტორიის და თანამედროვე მიდგომარეობის გათვალისწინებით. როგორც ყველაფერში ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის უმთავრესია ინფორმაციის გავრცელება, განათლება, ფართო დიალოგი.

სწორედ ზემოთ აღნიშნული წინაპირობა გახდა პროექტების განხორციელების საფუძვლი. პროექტების მიზანია სემინარების ორგანიზების საფუძვლზე უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის და მედია სამსახურების წარმომადგენელთა ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებში საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის განხორციელებდეს ამა თუ იმ უწყების გამჭვირვალობა, როგორც მოქალაქეებთან, ისე სამოქალაქო სექტორთან და მედიასთან.

სემინარების შედეგად შესაძლებელი გახდება: გააუმჯობესდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა დემოკრატიული თვალთახედვა და ამ მხრივ შესთავაზოს მათ დემოკრატიული საკითხების ინფორმაციული წყარო, უზრუნველყოფილი იქნას მათი ჩართვა სამოქალაქო ინტერესების დაცვის ჯამჯანებში, განვითარდეს თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მენეჯმენტი და უნარ-ჩვევები.

თითოეული პროექტის ფარგლებში გაიმართება 12 სემინარი, რომლის განხორციელების შედეგად მონაწილეები იმსჯელებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ და გაანალიზებენ ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ სიტუაციას; დაეუფლებიან ჯამჯანების და კოალიციების დაგეგმვის მეთოდებს, პროექტების წერისა და განხორციელების, კომუნიკაციის წარმართვის და გუნდური მუშაობის პრინციპებს, მიიღებენ თეორიულ ცოდნას ადამიანის უფლებების (ქალთა უფლებების ჭრილში) საერთაშორისო დოკუმენტების შესახებ, იმუშავენ იმ საბაზო უნარ-ჩვევების მიღებაზე, რომლებიც მათ სამომავლოდ გამოადგებათ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში.

პროექტების დასკვნით ეტაპზე ორგანიზება გაუკეთდება სამუშაო შეხვედრას, სადაც მოხდება ყველა მიმართულების და კომპონენტის განხილვა, შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა. მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო, სამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედია სამსახურების წარმომადგენლები.

„ინოვაციები ქალთა უფლებების დაცვისათვის“ დაფინანსებულია ლიხტენშტეინის მთავრობის მიერ, ხოლო „ადგილობრივი თვითმმართველობა ხალხის სამსახურში/საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები“ დააფინანსა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციამ. პროექტების ხანგრძლივობაა შესაბამისად 6 და 8 თვე.

დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის მიმართეთ:

იოსებ ხახალაიშვილს - მობ: 899 91 21 91; ელ-ფოსტა: ldageorgia@aldaintranet.org

ილიკო ნაცვალაძეს - მობ: 877 78 04 06; ელ-ფოსტა: dcda_georgia@yahoo.com